# Georgian Partners in Learning Forum 2013

# პარტნიორები განათლებაში - საქართველოს ფორუმი 2013

## პარტნიორები

- მაიქროსოფთ საქართველო
- ინტელი
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი)
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
- პროგრამა "ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად"
- ბრიტანეთის საბჭო საქართველოში
- USAID
- Innovative Systems Management

## ვადები

დასაწყისი 1 თებერვალი

დასასრული 1 ივლისი

## მიზანი

კონკურსის მიზანია ინოვაციური სწავლა/სწავლების მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების გზით სასწავლო პროცესის ხარისხის ზრდის ხელშეწყობა.

## პროექტის ამოცანები

- მასწავლებლების მოტივირება;
- სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ინტეგრირება;
- მასწავლებლებს შორის კოლაბორაციის და კომუნიკაციის ხელშეწყობა;
- სწავლა/სწავლების ინოვაციური პრაქტიკების გამოვლენა-გაზიარება.

## სამოქმედო გეგმა

1. მოსამზადებელი პერიოდი
    a. დეტალური სამოქმედო გეგმის შემუშავება
    b. პარტნიორებთან შეთანხმება
    c. ვებ-გვერდის მომზადება
    d. საჭირო დოკუმენტაციის (კონკურსის პირობები, შეფასების კრიტერიუმები, გრაფიკი, პროექტის ფორმა, გაიდები და ა.შ.) მომზადება
2. კონკურსის გამოცხადება, ინფორმაციის გავრცელება
    a. ვებ-ზე განთავსება
    b. ინფორმაციის გავრცელება პარტნიორების ორგანიზაციული ქსელების გზით
    c. საინფორმაციო შეხვედრები
    d. მედია-საშუალებების გზით
3. მონაწილეების მომზადება
    a. ონლაინ ტრენინგების ჩატარება
    b. მონაწილეების კონსულტირება
4. კონკურსის მიმდინარეობა
    a. I ეტაპი - საკონკურსო პროექტების მიღება
    b. II ეტაპი - პირველადი გადარჩევა ტექნიკური პარამეტრების მიხედვით
    c. III ეტაპი - შეფასება და მოკლე სიის შედგენა
    d. IV ეტაპი - ფორუმი
    e. V ეტაპი - დაჯილდოების ცერემონია
5. პოსტ PR
6. პროექტის შეფასება
    a. ანგარიშის მომზადება
    b. ჩართული მხარეების მონაწილეობით განხილვა

დეტალური ამოცანები და აქტივობები იხ. ქვემოთ.

**რესურსები**

- ელპლატფორმები
    - კონკურსის ვებ-პორტალი
    - ონლაინ კონფერენციის ვებპლატფორმა
    - საინფორმაციო ვებგვერდი
- ელკომუნიკაციის სერვისები
    - ელექტრონული ფოსტა
    - ელექტრონული ფაილების შექმნის, შენახვისა და გაზიარების ვებ-პლატფორმა
- ელინსტრუმენტები
    - საგანმანათლებლო კომპიუტერული პროგრამები
- მეთოდოლოგია, ფორმები და რუბრიკები
- გაიდები
    - კომპიუტერული პროგრამების გაიდები
    - პირველადი გადარჩევის გაიდები
- ექსპერტული მხარდაჭერა
    - პროექტის მართვა
    - გაიდების/ინსტრუქციების მომზადება
    - შეხვედრების ფასილიტაცია
    - ონლაინ ტრენინგების დაგეგმვა და მართვა
- ექსპერტების მივლინებები
    - ქუთაისი
    - თელავი
    - ბათუმი
- სივრცე
    - საინფორმაციო შეხვედრებისთვის
    - შერჩეული პროექტების პრეზენტაციისთვის
    - კონფერენციისთვის
- საბოლოო კონფერენციის წარმომადგენლობითი ხარჯები
    - 100 ადამიანი
- ტექნიკა
    - საპრეზენტაციო ტექნიკა (პროექტორი და ა.შ.)
- შემრჩევი და შეფასების კომისია
    - პირველადი გადარჩევა
    - შუალედური შეფასება
    - საბოლოო შეფასება
- პრიზები
    - პირველი 3 ადგილი
    - სპეციალური ნომინაციები (4)
    - საგნობრივი ჯგუფებისა და პრიორიტეტული პროგრამების მიხედვით
- ინფორმაციის გავრცელების არხები
    - მედია უზრუნველყოფა
    - ორგანიზაციული ქსელები

რესურსების გადანაწილება პარტნიორების მიხედვით იხ. ქვემოთ.

**რესურსები/ბიუჯეტი**

| | |
|---|---|
| Microsoft და Intel უზუნველყოფს | პრიზები: 4 ულტრაბუქი (~6000 GEL) და 10 სმარტფონი (~5000 GEL)<br>ვებ-კონფერენციის პლატფორმის სერვერის ტექნიკური მხარდაჭერა ონლაინ ტრენინგებისთვის (~3000 GEL)<br>ელხელსაწყოების ინსტრუქციების ქართულ ენაზე ადაპტირება (~2000 GEL)<br>ვიდეო ინსტრუქციების დუბლირება (~3000 GEL)<br>3 ექსპერტი - პროექტის მართვა, ონლიან ტრენინგები, რეგიონებში შეხვედრები, მგზავრობა, სასტუმრო (~6000 GEL)<br>ფინალური 3 დღიანი კონფერენცია, გამოფენა, გაკვეთილის მოდელი (~7000 GEL) |
| განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, TPDC, TLG უზრუნველყოფს | კოორდინატორები (ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი, TPDC, TLG)<br>შეფასების კომისია (ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი, TPDC, TLG)<br>ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა (ორგანიზაციული ქსელები, ინტერნეტი)<br>მედია უზრუნველყოფა, TV ჟურნალისტები, PR |
| USAID - Chemonics უზრუნველყოფს | პრიზები: 2 სმარტფონი<br>საინფორმაციო შეხვედრები 120 სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლებთან |
| Innovative Systems Management უზრუნველყოფს | პრიზი: ნეთბუქი (1000 GEL)<br>საინფორმაციო ვებ საიტის დეველოპმენტი, დიზაინი, ჰოსთინგი, ტექნიკური მხარდაჭერა (~4000 GEL) |
| British Council უზრუნველყოფს | ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა (ორგანიზაციული ქსელები, ინტერნეტი) |

## კონკურსის ეტაპები და ვადები

### I. რეგისტრაცია

**კონკურსში მონაწილეს მოეთხოვება შემდეგი აუცილებელი პირობების შესრულება:**

1. პროექტის მომზადება (იხ. პროექტის ფორმა);
2. საკონკურსო პროექტის ატვირთვა მოცემულ ვებ-სივრცეში (იხ. ატვირთვის) და ბმულის ჩასმა სარეგისტრაციო ფორმის შესაბამის ველში;
3. სარეგისტრაციო ფორმის შევსება (იხ. სარეგისტრაციო ფორმა);
4. შევსებული სარეგისტრაციო ფორმის გამოგზავნა ელფოსტით შემდეგ მისამართზე: **geopilforum@live.com** (წერილის სათაურში (SUBJECT) მითითებული უნდა იყოს ავტორის გვარი და სახელი).

საკონკურსო პროექტების მიღება დასრულდება **2013 წლის 19 მაისს, 24:00** საათზე თბილისის დროით.

შენიშვნა:

- კონკურსის მონაწილეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სარეგისტრაციო და პროექტის ფორმა სრულად უნდა იყოს შევსებული. პირველ ეტაპზე სწორედ ამ პარამეტრების მიხედვით მოხდება გადარჩევა. არასრული სარეგისტრაციო ფორმა და პროექტი არ გადაეცემა ექსპერტთა ჯგუფს შემდგომი შეფასებისთვის.
- იგზავნება მხოლოდ რეგისტრაციის ფორმა. რეგისტრაციის ფორმა მიიღება მხოლოდ ელექტრონული სახით ელფოსტის საშუალებით. დაგვიანებით გამოგზავნილი პროექტები არ განიხილება.
- პროექტის დანართები და დამატებითი მასალები (მათ შორის გაკვეთილის გეგმაც) **არ** უნდა გამოიგზავნოს ცაკლე, არამედ უნდა ჩაისვას ფაილის სახით პროექტის ფორმაში (იხ. პროექტის ფორმა, მე-7 სლაიდი).

### II. პირველადი გადარჩევა ტექნიკური პარამეტრების მიხედვით

**ვადები**: 20 მაისი - 27 მაისი

კონკურსის მეორე ეტაპზე სრულდება შემოსული საკონკურსო პროექტების პირველადი გადარჩევა.
საკონკურსო პროექტების პირველადი გადარჩევა მოხდება იმის მიხედვით, თუ რამდენად სრულადაა პროექტის და სარეგისტრაციო ფორმები შევსებული.
შერჩეული პროექტების ნუსხა გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე (**http://pilforum2012.k12.ge/**).
პირველადი გადარჩევის შედეგად შერჩეული პროექტები გადაეცემა ექსპერტების ჯგუფს შუალედური შეფასებისთვის.
***შენიშვნა***: კონკურსის ორგანიზატორები პირველადი გადარჩევის შედეგებს გამოაქვეყნებენ

მხოლოდ ვებ გვერდზე. კონკურსანტების ინფორმირება ელფოსტის ან ტელეფონის საშუალებით ამ ეტაპზე არ მოხდება.

## III. შეფასება

**ვადები**: 27 მაისი - 10 ივნისი

კონკურსის მესამე ეტაპზე სრულდება შერჩეული საკონკურსო პროექტების შუალედური შეფასება.
საკონკურსო პროექტებს შეაფასებენ ექსპერტები წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით (იხ. შეფასების კრიტერიუმები).
შუალედური შეფასების შედეგად შეირჩევა 24 საუკეთესო პროექტი, რომლებსაც ავტორები წარმოადგენენ პრეზენტაციების სახით ფორუმზე.
შერჩეული 24 პროექტის ნუსხა გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე (http://pilforum2013.k12.ge/).

***შენიშვნა:*** საუკეთესო 24 პროექტის ავტორი მომდევნო ეტაპის შესახებ შეტყობინებას მიიღებს ელფოსტის საშუალებით.

## IV. ფორუმი

ვადები: 18 - 20 ივნისი

ფორუმის პირველ ორ განყოფილებაში (18-19 ივნისი) დაგეგმილია ექსპერტების მიერ 24 საუკეთესო პროექტის პრეზენტაცია. თითოეული პრეზენტაციის ხანგრძლივობაა მაქსიმუმ ხუთი წუთი.

საკონკურსო პროექტების შეფასება მოხდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით (იხ. შეფასების კრიტერიუმები).

ფორუმის ბოლო დღეს, 20 ივნისს დაგეგმილია საუკეთესო პროექტების გამოვლენა, გამარჯვებული ავტორებისთვის პრიზების გადაცემა და ფინალისტებისთვის სერტიფიკატების გადაცემა.

## გამარჯვებულები და პრიზები

კონკურსში მონაწილე პროექტების შეფასება ხდება ორგვარად:

1 ექსპერტების მიერ

2 სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და სხვ.) მიერ

ექსპერტული შეფასება გულისხმობს საუკეთესო პროექტის გამოვლენას ექსპერტების მიერ. საზოგადოებრივი შეფასება კი საუკეთესო პროექტის გამოვლენას დაგროვებული მოწონებების (“Like”) შესაბამისად.

ექსპერტული შეფასების შედეგად შერჩეული იქნება საუკეთესო პროექტები:

- I ადგილი
- II ადგილი
- III ადგილი
- ნომინაცია - 1:1 ელექტრონული სწავლება (1-2 კლასები)
- ნომინაცია - ტექნოლოგიების ინოვაციური გამოყენება

გამარჯვებული პროექტების ავტორებს გადაეცემა პრიზი პორტატული კომპიუტერი ულტრაბუქი. ნომინაციაში “ტექნოლოგიების ინოვაციური გამოყენება” გამარჯვებულ პროექტს კომპანია Innovative Systems Management გადასცემს ნეთბუქს.

სასკოლო საზოგადოების მიერ შეფასებით გამოვლენილი იქნება საუკეთესო პროექტები:

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში
- მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში
- უცხო ენებში
- საზოგადოებრივი მეცნიერებებში
- ტექნოლოგიებშიa
- მათემატიკაში
- სამოქალაქო განათლებაში
- ეკონომიკაში
- აფხაზურ ენაში
- ქართული, როგორც მეორე ენა

სპეციალური ნომინაციები და პრიზები დაწესდა USAID-ის საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის მიერ:

- მათემატიკა - Numeracy - (1-6 კლასებისთვის)
- წიგნიერება - Literacy - (1-6 კლასებისთვის)

გამარჯვებული პროექტების ავტორებს გადაეცემათ სმარტფონები.

ყველა ფინალისტსა და გამარჯვებულს გადაეცემა კონკურსში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული მასწავლებლები, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას ამ კონკურსში, მოიპოვებენ სქემით გათვალისწინებულ კრედიტებს:

- განხორციელებული პროექტისთვის
- კონფერენციაში მონაწილეობისთვის

კრედიტების დაგროვება ხელს შეუწყობს მათ კარიერულ ზრდას.